საქართველოს კანონი

"სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N18, 28.06.2001, მუხ. 58) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. მეწარმის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებსა და კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებენ საგადასახადო და საბაჟო ორგანოები."

2. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

"2^1. მეწარმის საფინანსო-სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის შემოწმებას და გარე აუდიტს ატარებს საქართველოს კონტროლის პალატა "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილ ფარგლებში."

3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

"2. ყველა მაკონტროლებელ ორგანოს ეკრძალება მოსთხოვოს მეწარმეს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს. საქართველოს კონტროლის პალატა საგადასახადო და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შემოწმებისას უფლებამოსილია ამ ორგანოებისგან მოითხოვოს გადასახადის და გადასახდელის გადამხდელის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტაცია, ამ დოკუმენტაციის შემოწმების მიზნით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი